ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 მარტის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დანტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 მარტის სხდომის

ო ქ მ ი №7

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

18 მარტი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია ძალა ერთობაშია

იულონ კოპაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები

შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო,

გივი ხიჯაკაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები.

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მომხს: დავით დევდარიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მომხს: ჯაბა ბერაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ანგარიში საკითხზე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ქ. ზუმბაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს მუნიციპალიტეტის ქონება თუ არის აღრიცხული და თუ აკონტროლებს ვინმე მაგალითად სად წავიდა სტადიონის ღობე.

ჯ. ბერაძემ - მომხსენებელმა უპასუხა, რომ მოპოვებული ინფორმაციით პირველ ეტაპზე ის იქნა დასაწყობებული და შემდეგ მოხმარდა ბაღების შემოღობვას.

ი. კოპაძემ მოითხოვა ინფორმაციის დაზუსტება ღორეშის სარიტუალო დარბაზის გაქირავებასთან დაკავშირებით და აგრეთვე ანგარიშში ნახსენები 127 კვმ. მიწა სად მდებარეობდა.

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ მეიჯარე, რომელსაც აღებული ჰქონდა ღორეშის სარიტუალო სახლი 2 წლით გარდაიცვალა თუ გამოჩნდება სხვა პირი მსურველი ამ შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულება და გადაეცეს სხვას, რაც შეეხება მიწის ნაკვეთს ეს არის იუსტიციის სახლის წინ მდებარე ნაკვეთი.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად მე ვეთანხმები ქეთევანი წინადადებას ღობის საკითხში, მაგრამ ამას ჭირდება მეტი კონკრეტიკა. დღემდე სამსახურმა ვერ შეძლო ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება, დაწყებული არის მაგრამ დასრულებული არ არის. დღემდე ვერ დავადგინეთ შ.პ. ს 2011 -ის ქონება , რომელსაც მოგებაზე უნდა ემუშავა. არ არის გაკეთებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა. იგივე მდგომარეობაა პარკში და არაფერი არ გამოსწორებულა.

ჯ. ბერაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის შესამუშავებლად გავერთიანდით პროგრამაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთ - ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და სექტემბრის ბოლოსთვის ალბათ დასრულდება, ინვენტარიზაცია მართლაც არ დასრულებულა ჯერ მოვახდინეთ ა.ა.ი.პ- რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ა.ა.ი.პ-ის ქონების ინვენტარიზაცია. შევიძენთ სპეციალური პროგრამა და დავიწყებთ მუნიციპალიტეტის დანარჩენი ქონების აღრიცხვასაც.

ი. კელენჯერიძემ, რომელმაც მოითხოვა დაზუსტება სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტზე გადმოცემული მიწის ნაკვეთებს რა ბედი ეწია კიცხსა და წყალაფორეთში რა სარგებელი ნახა ხალხმა.

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ როგორც მოგეხსენებათ ტერიტორია დაიყო 19 ნაკვეთად გამოცხადებული აუქციონის შედეგად წყალაფორეთში 2 მოქალაქის მიერ მოხდა მიწის ნაკვეთების შესყიდვა, რთული პროცესია და ვმუშაობთ კიცხის მიმართულებითაც.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ წყალაფორეთში შენობა, რომელიც გაიყიდა მეპატრონის მიერ დაინგრა, ვარგისი ნაწილები წაიღო და ნანგრევები დარჩა ნაგვის ბუდედ, მოსახლეობაში ეს იწვევს უკმაყოფილებას და ადანაშაულებენ ხელისუფლებას, მაინტერესებს რა ხდება.

ჯ. ბერაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული ნანგრევებისაგან ტერიტორიის გათავისუფლება ამის გამო ვერ დავავალეთ, ვთხოვეთ მეწარმეს გაეტანა ნარჩენები მაგრამ მან ეს არ შეასრულა და ალბათ მოგვიწევს ჩვენი ძალებით გატანა.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მიწის აღიარების კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადებების განხილვა ხდება დაგვიანებით, მიზეზად მანქანის არ ქონას იშველიებთ, თუ გაქვთ სტატისტიკა, რამდენი განცხადებაა შემოსული და რამდენი შესწავლილი.

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში ხდება განცხადებების შესწავლა, რაც შეეხება მანქანის პრობლემას ეს შემთხვევა მართლაც იყო იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც თქვენ ახსენეთ.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა, რომ როდესაც თქვენ ანგარიში წარმოადგინეთ გასული წლის სექტემბერში და ახლაც არავინ გედავებათ, რომ არ მუშაობთ, მაგრამ იმის განცხადება, რომ 2014 – 15 წლებზე პასუხისმგებლობა არ იღებთ ეს არ არის სწორი ამას ვამბობ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის დავით დევდარიანის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა თუ რამდენმა წვევამდელმა არ გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური ე.წ. „გირჩის“ მიზეზით.

დ. დევდარიანმა უპასუხა, რომ ასეთი წვევამდელი 60 ახლგაზრდაა.

დ. კიკნაძემ, რომელიც დაინტერესდა 2017-2019 წლების ე.წ. „გირჩის“ სტატისტიკით .

დ. დევდარიანმა უპასუხა, რომ ყველაზე მეტი 2018 წელს 49 კაცი იყო, დღეის მდგომარეობით სულ 60 კაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნ. მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

გ. თხელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის სამუშაო ოთახის რემონტის თანხა 4800 ლარით განისაზღვრა საბიუჯეტო ცვლილებაში 4000 ლარია გათვალისწინებული და კიდევ მაინტერესებს 43 000 ლარის განაწილების საკითხი.

ნ. მაღლაკელიძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე პრობლემა არ შეექმნება სამუშაოს დაწყებას და უახლოეს პერიოდში შეივსება მოთხოვნილი თანხა, რაც შეეხება სოციალურ დახმარებას ამ ეტაპზე თანხა არ გამოიყფა დაველოდებით 6 თვის შედეგებს რა შემოსავლები გვექნება.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ შშმ. პირებისათვის ჩვენ მოვითხოვეთ 8000 ლარი ეს თანხა ემატება 3900 ლარს?

ნ. მაღლაკელიძემ განმარტა, რომ ეს თანხა დაემატება 3900 ლარს.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ ვესაუბრეთ კოლეგებს მაგალითად ზესტაფონა და მათ ეს პროგრამა არ აქვთ, მე კიდევ მეჩვენება, რომ 11000 ლარიც მეტია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა საფინანსო - საბიუჯეტო, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**